ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01201251697**
თარიღი: **04/05/2020**
პინი: **7501**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 24 აპრილის #60-01201151070 წერილი და AR1744975 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე მიხეილ ხაჩკალიანის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, სსიპ ,,აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, წალენჯიხის შესახვევი #18 ს.კ. #01.17.09.048.004) (სზ) II კლასის ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის (მიშენება/დაშენება) მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ **წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ექსპერტ გრიგოლ დეისაძის 2020 წლის 20 აპრილის საექსპერტო დასკვნა, ფოტოსურათები, ტოპო. გეგმა) ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა 51 ერთეულია. განმარტებითი ბარათის თანახმად, მიშენებას ხელს უშლის 2 ძირი ხილ-კენკროვანი ხე (#34-ლეღვი, #40-ხურმა).**

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. ამდენად, **საპროექტო არეალში განთავსებული 2 ძირი ხილ-კენკროვანი ხის მოჭრა/გადარგვა ნებართვას არ საჭიროებს.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე.

აქვე მოგახსენებთ, რომ თუ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანის გარდა უნებართვოდ მოიჭრება სხვა სახეობის მწვანე ნარგავი, დაინტერესებული პირის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიება.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

